

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

### კ ა ნ ო ნ ი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ თავი I

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

1.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	მათ შორის გრანტები
შემოსავლები	114 656,5	135 773,0	150 178,3	0,0
გადასახადები	106 370,7	124 750,3	126 000,0	0,0
გრანტები	3 163,4	4 061,3	15 069,9	0,0
სხვა შემოსავლები	5 122,4	6 961,4	9 108,4	0,0
ხარჯები	94 871,2	112 468,6	116 710,1	56,7
შრომის ანაზღაურება	13 205,2	16 351,1	17 018,0	0,0
საქონელი და მომსახურება	14 345,3	18 919,9	17 967,8	54,5
პროცენტი	149,9	250,6	314,9	0,0
სუბსიდიები	22 767,6	28 069,5	27 686,4	0,0
გრანტები (გაცემული)	15 275,9	31 192,8	22 353,5	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2 843,6	5 433,4	5 238,3	0,0
სხვა ხარჯები	26 283,7	12 251,3	26 131,4	2,2
საოპერაციო სალდო	19 785,3	23 304,4	33 468,2	- 56,7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 202,3	23 945,3	20 452,1	0,0
ზრდა (შემცირება)	24 956,5	33 336,3	22 960,1	0,0
კლება (გაყიდვა)	13 754,1	9 391,0	2 508,0	0,0
მთლიანი სალდო	8 583,0	- 640,9	13 016,1	- 56,7
ფინანსური აქტივების ცვლილება	7 653,1	- 736,1	10 443,9	56,7
ზრდა	16 993,2	0,0	10 500,6	0,0
ვალუტა, დეპოზიტები	16 993,2		10 500,6	
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0



კლება	9 340,1	736,1	56,7	56,7
ვალუტა, დეპოზიტები	9 250,6	736,1	56,7	56,7
სესხები	89,5			
ვალდებულებების ცვლილება	- 929,9	- 95,2	-2 572,2	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები				
კლება	929,9	95,2	2 572,2	0,0
სესხები				
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0

2.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	მათ შორის გრანტები
შემოსულობები	128 500,2	145 164,0	152 686,3	0,0
შემოსავლები	114 656,5	135 773,0	150 178,3	0,0
არაფინანსური აქტივების კლება	13 754,1	9 391,0	2 508,0	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	89,5	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	120 757,6	145 900,1	142 242,4	56,7
ხარჯები	94 871,2	112 468,6	116 710,1	56,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	24 956,5	33 336,3	22 960,1	0,0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	929,9	95,2	2 572,2	0,0
ნაშთის ცვლილება	7 742,6	- 736,1	10 443,9	- 56,7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

## თავი II

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

**მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 150178,3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)



დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
შემოსავლები	114 656,5	135 773,0	150 178,3
გადასახადები	106 370,7	124 750,3	126 000,0
გრანტები	3 163,4	4 061,3	15 069,9
სხვა შემოსავლები	5 122,4	6 961,4	9 108,4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

**მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები**  
 განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები 126000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
11	გადასახადები	106 370,7	124 750,3	126 000,0
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	106 370,7	124 750,3	126 000,0
1111	ფიზიკური პირებიდან	106 370,7	124 750,3	126 000,0
11111	საშემოსავლო გადასახადი	106 370,7	124 750,3	126 000,0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

**მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები**  
 განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები 15069,9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
13	გრანტები	3 163,4	4 061,3	15 069,9
132	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	163,1	320,3	0,0
1321	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	163,1	320,3	0,0
13211	ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავება	163,1	320,3	
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	3 000,3	3 741,0	15 069,9



1331	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	3 000,3	3 741,0	15 069,9
------	---------------------------------	---------	---------	----------

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

## მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 9108,4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	5 122,4	6 961,4	9 108,4
141	შემოსავლები საკუთრებიდან	4 265,2	5 049,8	7 248,0
1411	პროცენტები	2 669,9	3 396,6	5 600,0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	2 669,9	3 396,6	5 600,0
1412	დივიდენდები	1 101,6	1 307,4	900,0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	1 101,6	1 307,4	900,0
1415	რენტა	493,8	345,8	748,0
14154	შემოსავალი მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	24,0	51,5	80,0
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	469,8	294,3	668,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	316,9	409,6	477,9
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	112,6	228,1	34,9
14222	სალიცენზიო მოსაკრებლები	59,4	3,2	0,6
14223	სანებართვო მოსაკრებლები	53,1	224,6	33,5
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1	0,3	0,8
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	204,3	181,5	443,0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	204,3	181,5	443,0
1423209	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწვიდან	204,3	181,5	443,0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	446,6	244,2	88,0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	93,7	1 257,7	1 294,5
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	93,7	1 257,7	1 294,5



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

### თავი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

#### მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 116710,1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	მათ შორის გრანტები
ხარჯები	94 871,2	112 468,6	116 710,1	56,7
შრომის ანაზღაურება	13 205,2	16 351,1	17 018,0	
საქონელი და მომსახურება	14 345,3	18 919,9	17 967,8	54,5
პროცენტი	149,9	250,6	314,9	
სუბსიდიები	22 767,6	28 069,5	27 686,4	
გრანტები (გაცემული)	15 275,9	31 192,8	22 353,5	
სოციალური უზრუნველყოფა	2 843,6	5 433,4	5 238,3	
სხვა ხარჯები	26 283,7	12 251,3	26 131,4	2,2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

#### მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 20452,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 22960,1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	მათ შორის გრანტები
101	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	1 743,5	196,4	206,6	
102	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	4,0	137,4	5,0	
103	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	12 850,1	17 848,2	12 167,8	
104	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	618,1	6 409,2	2 622,6	



106	საერთო დანიშნულების რეგიონალური გადასახდელები				
105	საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა	2 200,7	1 066,4	193,2	
106	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2 103,0	3 091,8	3 422,1	
107	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	328,9	127,5	12,3	
108	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1 365,0	1 558,7	1 589,6	
109	უმადლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	704,1	207,4	419,2	
110	დასვენებისა და კულტურის ობიექტების განვითარების ხელშეწყობა	3 039,0	2 565,2	1 287,6	
111	საგამომცემლო და ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა	0,0	33,0	12,9	
112	საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა	0,0	95,1	1 021,1	
სულ		24 956,5	33 336,3	22 960,1	0,0

ბ. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 2508.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	13 754,1	9 391,0	2 508,0
311	ძირითადი აქტივები	9 628,1	2 029,0	756,0
314	არამწარმოებლური აქტივები	4 126,0	7 362,0	1 752,0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

**მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 139670,2 ათასი ლარის ოდენობით.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	მათ შორის გრანტები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	34 807,4	53 317,0	46 633,0	
	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის				



7011	უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	17 396,7	18 605,9	21 768,1	
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	12 533,3	11 924,7	8 265,5	
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	4 846,1	6 665,8	13 501,4	
70113	საგარეო ურთიერთობები	17,3	15,4	1,2	
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	1 513,5	1 740,2	1 614,0	
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	151,6	250,6	314,9	
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებ შორის	15 275,9	31 192,8	22 353,5	
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	469,7	1 527,5	582,5	
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4 649,6	4 607,7	1 859,9	
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	4 649,6	4 607,7	1 859,9	
704	ეკონომიკური საქმიანობა	18 511,5	27 561,4	34 018,7	56,7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	3 690,2	3 466,7	5 308,0	
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	2 416,5	2 238,4	2 216,0	
70422	სატყეო მეურნეობა	1 273,7	1 228,3	3 092,0	
7045	ტრანსპორტი	11 879,6	19 758,1	20 611,3	
70451	სავტომობილო ტრანსპორტი	11 879,6	19 758,1	15 611,3	
70452	საზღვაო ტრანსპორტი	0,0	0,0	5 000,0	
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	2 773,5	3 638,3	6 389,2	56,7
70473	ტურიზმი	2 284,5	2 659,3	2 783,7	
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	489,0	979,0	3 605,5	
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	168,2	698,3	1 710,2	56,7
705	გარემოს დაცვა	1 333,9	2 492,9	2 491,3	
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	526,9	1 495,0	1 335,4	
7056	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გარემოს დაცვის სფეროში	807,0	997,9	1 155,9	
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	0,0	4 939,6	2 565,7	
7061	ბინათმშენებლობა	0,0	4 939,6	2 565,7	
707	ჯანმრთელობის დაცვა	4 412,2	7 150,6	7 363,4	
7072	ამბულატორიული მომსახურება	434,5	778,1	977,8	



7073	სავადმყოფოების მომსახურება	1 690,8	3 896,5	3 817,0	
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	513,9	571,9	641,3	
7076	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 773,0	1 904,1	1 927,3	
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	43 565,2	27 851,6	25 581,8	
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	7 031,0	9 346,0	7 708,3	
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	8 811,8	10 662,2	10 508,0	
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	6 046,1	5 998,9	5 046,7	
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	55,0	62,0	102,0	
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	21 621,3	1 782,5	2 216,8	
709	განათლება	12 071,8	17 350,2	18 865,4	
7092	ზოგადი განათლება	723,2	764,1	845,6	
7094	უმაღლესი განათლება	5 050,3	4 379,5	3 308,3	
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	6 298,3	12 206,6	14 711,5	
710	სოციალური დაცვა	476,1	533,9	291,0	
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	75,0	112,5	
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	33,0	28,5	29,0	
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0,0	0,0	38,0	
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	443,1	430,4	111,5	
სულ		119 827,7	145 804,9	139 670,2	56,7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

#### თავი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო 13016,1 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.





**მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**  
 განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 10443,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 10500,6 ათასი ლარის ოდენობით.

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	16 993,2	0,0	10 500,6
ზრდა	16 993,2	0,0	10 500,6
ვალუტა, დეპოზიტები	16 993,2	0,0	10 500,6
სესხები	0,0	0,0	0,0

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 56,7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	840,4	3 317,6	56,7
კლება	840,4	3 317,6	56,7
ვალუტა, დეპოზიტები	9 250,6	736,1	56,7
სესხები	89,5	0,0	0,0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 24 ივლისის კანონი №61 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 25.07.2013წ.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

**მუხლი 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**  
 განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 2572,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებათა კლება 2572,2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	929,9	95,2	2 572,2
კლება	929,9	95,2	2572,2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 30 მაისის კანონი №59 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 03.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი №84 - უ.ს.რ.ს. - ვებგვერდი, 29.11.2013წ.



**მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**  
განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები შემდეგი რედაქციით:

**1. რეგიონის ინსტიტუციონალური განვითარება და აღმასრულებელი ორგანოს მხარდაჭერა**

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო. პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მეშვეობით რეგიონში ხორციელდება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობა და საარჩევნო სისტემის განვითარება.

**1.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 1011)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას და ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**1.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია (პროგრამული კოდი 102)**

საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

სამოქალაქო განვითარებასა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების წახალისება;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ამომრჩეველთა აქტიურობის გაზრდა და დაინტერესება არჩევნებში მონაწილეობის მიზნით;

ამომრჩეველებისათვის სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება;

სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროგრამების შექმნა- შემუშავება;

ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების პროგრამების შექმნა;

მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა.

**1.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (პროგრამული კოდი 1031)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება, მთავრობის თავმჯდომარის ურთიერთობის ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან და სხვა.

**1.4 საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 1034)**



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარქივო დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზი, საარქივო ფონდის დაცვა-შენახვის გაუმჯობესებისა და მისი ფორმირების მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება, სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა;

ისტორიულად დირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა;

ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა;

ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად;

ფიზიკური და იურიდიული პირების დროული საინფორმაციო მომსახურება.

## 2. რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

### 2.1 ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 1041)

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება და მონიტორინგის გაძლიერება;

პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქონების აღრიცხვა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად განკარგვა;

თითოეული საპრივატიზებო ობიექტის ინფორმაციული შეფუთვა ან/და სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საპრივატიზებო ობიექტების მონაცემთა ბაზის განთავსება, განახლება და რედაქტირება;

საპრივატიზებო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება (eauction.ge);

აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მარკეტინგი:

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების გადახედვა/განსაზღვრა;

საპრივატიზაციო ობიექტების გადახედვა/განხილვა, ინფორმაციული დამუშავება და „მარკეტინგული შეფუთვა“;

პოტენციური ინვესტორების მოძიება;

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, საელჩოებსა და სავაჭრო სამრეწველო პალატებთან თანამშრომლობა;

განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ინიცირება, ხელშეწყობა და კოორდინირება;

რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროცესის შედეგების აღრიცხვა და მონიტორინგი;

### 2.2. სახაზინო მომსახურება (პროგრამული კოდი 1042)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შესრულების ანგარიშების შედგენა;

ხაზინის ელექტრონულ მონაცემთა ერთიანი ბაზის და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე, ხაზინაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისთვის, ახალი ამოცანების კვლევისა და მათი დამუშავების მეთოდების შემუშავება;



ხაზინის მიერ გასაწევი აუცილებელი, გადაუდებელი და ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ხარჯების პროგნოზირება.

### 2.3. სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 1136)

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯების დაფარვა;

„აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოების“ ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯების დაფარვა.

### 2.4. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 1138)

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაფინანსდება შესრულებული სამუშაოების საბიუჯეტო გადასახდელები, კერძოდ, კი შესრულებულ სამუშაოებზე დღგ-ის გადახდა;

პროექტის მიზანია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე სოფლების წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება

„აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოების“ პროექტის განხორციელებისათვის სანიტარული ნაგავსაყრელის ადგილმონაცვლეობის გამო საკონსულტაციო კომპანია SWECO International AB-ს მიერ ტექნიკური პროექტებისა და მშენებლობის ზედამხედველობისათვის საჭირო სამუშაოების დაფინანსება;

პროექტის მიზანია მყარი ნარჩენების მართვა აჭარის მთელს ტერიტორიაზე, რაც ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს. კერძოდ, პირველ ეტაპზე, აქცენტი გადატანილი იქნება, ქალაქ ბათუმზე, მის ახლომდებარე კურორტ ქობულეთსა და სანაპირო ზონაზე და ხელვაჩაურის ავტომაგისტრალის გასწვრივ მიმდებარე ტერიტორიაზე. მეორე ეტაპზე, მოხდება მყარი ნარჩენების მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვა აჭარის სოფლებში;

აგრარული სექტორის ხელშეწყობის თანადაფინანსება, პროექტი ითვალისწინებს აგრარული სექტორის მხარდაჭერას - საკონსულტაციო, სატრენინგო, სადემონსტრაციო და სხვა მომსახურების უზრუნველყოფას.

### 2.5. საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში (პროგრამული კოდი 1134)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების საფასურის გადახდა.

### 2.6. ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნესინკუბატორი“ (პროგრამული კოდი 1112)

დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა;

ახალი ბიზნეს სუბიექტების შექმნა;

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

### 2.7. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ (პროგრამული კოდი 1113)

აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (ასსპა) არის ერთ-ერთი გავლენიანი ბიზნესორგანიზაცია საქართველოში. ასსპა წარმოადგენს შუამავალ რგოლს მეწარმე სუბიექტებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. იგი მუდმივად ჩართულია საწარმოების წინაშე დაყენებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

პალატის ძირითადი მიზანია ასსპა-ს წევრების ბიზნესინტერესების დაცვა ადგილობრივ და ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში, საქართველოს პარლამენტში და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებში;

ასსპა რეგულარულად სწავლობს და უკეთებს ანალიზებს აჭარის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, ადგენს და აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს რეგიონის ეკონომიკის სექტორების მიხედვით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ასსპა მეწარმეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის სერვისებს;

ასსპა გამუდმებით მუშაობს ინვესტორების მოსაზიდად, იწვევს და ღებულობს ბიზნესდელეგაციებს, მართავს



ერთობლივ ფორუმებს და სემინარებს.

## **2.8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავება (პროგრამული კოდი 1045)**

ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავება;

დასახლებათა სივრცითი ტერიტორიის მართვა;

ქალაქგანვითარების რეგულირების, მიწათსარგებლობის პარამეტრების განსაზღვრა;

## **2.9 სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა (პროგრამული კოდი 1132)**

მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განსახორციელებლად შპს „ჰიგენა 2009“-ის საწესდებო კაპიტალის ზრდა;

### **3. საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა**

#### **3.1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენცია, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 1051)**

სააგენტოს რაიონული რეაგირების ჯგუფებისათვის თანამედროვე სამძებრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

მაშველების ეტაპობრივი გადამზადება და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება;

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საფრთხეების პრევენციისა და მათი შედეგების დაძლევის ტექნოლოგიებისა და მეთოდების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით მოხდება თითოეულ მუნიციპალიტეტსა და სოფელში არსებული რისკების შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვება, შესაბამისი რუკების შექმნა, სოფლებში არსებული რესურსების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვება;

სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შექმნა და თითოეულ მუნიციპალიტეტში, თემსა თუ სოფელში საგანგებო სიტუაციების წინააღმდეგ მებრძოლი საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება;

ჩატარდება აქტიური სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები;

### **4. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გარემოს დაცვის პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები რეგიონში გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა და ტყეების მდგრადი მართვაა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია საქმიანობა გეოლოგიური მონიტორინგის, სანაპირო ზოლის დაცვისა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების კუთხით. სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის მიზნით ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები. გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

#### **4.1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 10321)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გარემოს დაცვის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის გარემოს დაცვის ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყლის ხარისხზე მიმდინარე მონიტორინგის გაძლიერება. მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა. ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისა და ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. სახიფათო ნარჩენებით დაბინძურების კერების გამოვლენა და მათი სრული ლიკვიდაცია;

აჭარის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

აჭარის ზღვის სანაპიროსა და მდინარეების ნაპირების გამაგრება, მათი ეკოლოგიური შედეგების ანალიზი და რისკების მინიმიზაცია;

სტიქიურ-გეოლოგიურ მოვლენებზე მონიტორინგის გაძლიერება. პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.



გეოლოგიის სამსახურის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;

საერთაშორისო პროექტში „გლობალური ცვლილებების ზემოქმედების შემსუბუქებისა და ადაპტაციის შავი ზღვის ერთობლივი რეგიონალური კვლევითი ცენტრის დაფუძნება“ თანამონაწილეობა;

#### **4.2. სატყეო სექტორის განვითარება (პროგრამული კოდი 10322)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობაში არსებული სატყეო მეურნეობის მდგრადი მართვა. სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ მიზნად ისახავს რეგიონში დანერგოს მდგრადი ტყითსარგებლობა. ამისათვის უკვე მიმდინარეობს და მომავალშიც იგეგმება ხე-ტყის მოპოვების პროცედურის გამარტივება, სოციალური ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა და ტყის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გამკაცრება. ასევე მნიშვნელოვანია ტყეების სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

აჭარის ტყეებში ფართოდ არის გავრცელებული ტყის მავნებელი მწერები, რომლებიც ანადგურებენ ტყეების საკმაოდ მოზრდილ მასივებს. ამ მხრივ საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლა (ტყეებში მწერდამჭერი ფერომონების განთავსება, დაავადებული ხე-ტყის გამოტანა და სხვა.) ტყეკაფების ათვისებისა და უნებართვო ჭრების შემცირებისათვის აუცილებელია სატყეო-სამეურნეო გზების ქსელის ოპტიმალური გაფართოება;

სატყეო სექტორის ეფექტური საქმიანობის წარმართვისათვის სპეციალური (მძიმე ტექნიკის) ტექნიკის შეძენა, აგრეთვე სატყეო სექტორში გზების გაყვანისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეების აღდგენა-განახლების პროცესს, რომელიც ორი მიმართულებით წარიმართება:

1. ტყეების ბუნებრივი განახლება შემოდგომისა და აჩიქვნის მეთოდით;
2. ჭრაგავლილი თუ სხვა სახით დაზიანებული კორომების ხელოვნური განაშენიანება. განაშენიანების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭიროა სანერგე მეურნეობების მოწყობა. ტყეების მონიტორინგისა და სატყეო სფეროს განვითარებისათვის მიზანშეწონილია სამეცნიერო-ექსპერიმენტული საქმიანობის მხარდაჭერა;

#### **4.3. გარემოსდაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 10323)**

პროგრამა მოიცავს 5 ქვეპროგრამას, რომლებიც გამიზნულია ლოკალური გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისათვის;

პროგრამის განხორციელების შედეგად მომზადდება მუდმივად განახლებადი ინფორმაცია აჭარაში ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ, რომლის ანალიზიც მოგვცემს შემდგომი აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას. ერთი წლის განმავლობაში თავიდან იქნება აცილებული ბათუმისა და ქობულეთის სანაპიროების წარეცხვა (აბრაზია). კონკრეტულ ადგილებში ეროზიის შეჩერების მიზნით, განხორციელდება ეროზიამდეგი მცენარეულობით განაშენიანების ღონისძიებები, აგრეთვე განხორციელდება ადლიის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა;

### **5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარზე ან/და სიღარიბის ზღვართან ახლოს, ხელმიუწვდომელი რჩება ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ დროული, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად იზრდება მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შესაძლებლობების შეზღუდვის რისკი, ლეტალობა.

პრიორიტეტის ფარგლებში შესაბამისი პროგრამებით ხორციელდება სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, გარკვეული კატეგორიებისათვის სოციალური დახმარებების გაცემა, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ზოგიერთი სამედიცინო პერსონალის მატერიალური სტიმულირება, პროფესიული სწავლება და დასაქმების ხელშეწყობა;

ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა.

#### **5.1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 1071)**



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მიზნობრივი ჯგუფებისათვის;

სოციალური დაცვის ღონისძიებების გაფართოება და დახვეწა;

უწყების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურების შესახებ;

სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;

## **5.2. დასაქმების ხელშეწყობა და მართვა (პროგრამული კოდი 10721)**

ხორციელდება დასაქმების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში. რეგიონის მასშტაბით, ექვსივე თვითმართველ ერთეულში, შექმნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს რაიონული განყოფილებები, რომელთაც გააჩნიათ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილი და დაპატენტებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა სამუშაოს მაძიებელთა და არსებული ვაკანსიების დასარეგისტრირებლად. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მოთხოვნილი ვაკანსიის მიხედვით მოიძებნოს შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაოს მაძიებელი პირი;

## **5.3. პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 10722)**

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე მთელ რიგ პროფესიებში (სასტუმროს საქმის მწარმოებელი, ბარმენი, მზარეული, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სამშენებლო სფეროები, ავტომობილის ზეინკალი და ა. შ) ხშირია შემთხვევები როდესაც ვერ საქმდებიან შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობის გამო. მოქალაქეები, განსაკუთრებით 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, თავიანთი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე მოკლებულნი არიან საკუთარი სახსრებით დაეუფლონ ზემო აღნიშნულ პროფესიებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ქ. ბათუმში უკვე ხორციელდება 100 000-მდე სარეიტინგო ქულის პირების პროფესიული გადამზადების პროგრამა ქ. ბათუმის მერიის მიერ, თუმცა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ არ არსებობს მსგავსი პროგრამები. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პირველ ეტაპზე განხორციელდეს ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 100 000-მდე ქულის მქონე 200 მოქალაქის პროფესიული გადამზადება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ ზომიერი შეზღუდულობის სტატუსი და არ სარგებლობს სახელმწიფო პენსიით, ხშირ შემთხვევაში მოკლებული არიან დასაქმების შესაძლებლობას მათი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და არ გააჩნიათ უმეტეს შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული განათლება. სახელმწიფოს მიზანია ხელი შეუწყოს ასეთი კატეგორიის მქონე მოქალაქეებს მათი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სოციალურ გარემოში ადაპტაცია. პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 შეზღუდული შესაძლებლობის პირების გადამზადება;

## **5.4. ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები (პროგრამული კოდი 1073)**

სამინისტროს 2013-2016 წლების მიზნობრივი პროგრამები თავისი შინაარსითა და მოცულობით განსხვავდება წინა წლების პროგრამებისაგან, ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე. მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის გადაუდებელ ჰოსპიტალურ დახმარებას, გეგმურ ჰოსპიტალურ მომსახურებას, ონკოლოგიურ დახმარებას, ბავშვთა რეაბილიტაციას, რესურსტევად კარდიოქირურგიულ მკურნალობასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვას, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, სოფლის მოსახლეობისათვის ექიმადელი სამედიცინო დახმარების მიწოდებას;

## **5.5. სოციალური დაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 1075)**

სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას. პირველ რიგში, ეს არის 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ სიდუხჭირეს და საჭიროებენ მატერიალურ მხარდაჭერას;



შშმ და ხანდაზმული პირები გადაადგილებების საშუალებებით, სავარძელ-ეტლებით მარაგდებიან სახელმწიფო პროგრამით და სხვადასხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ. მოწოდებული საქონელი არასაკმარისია და ამ კატეგორიის ადამიანების დიდი ნაწილი დარჩენილია სავარძელ-ეტლების გარეშე, რაც არასრულფასოვანს ხდის მათ ცხოვრებას;

შშმ პირებისა და ხანდაზმული ადამიანების გადაადგილების საშუალებებით, სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, გააუმჯობესებს ცხოვრების გარემოს;

შშმ პირებისა და ხანდაზმული ადამიანების დამხმარე საშუალებებით - სმენის აპარატებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, აამაღლებს მათი სოციალური ადაპტაციის ხარისხს.

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფით განხორციელდება აღნიშნული პირების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა;

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სამედიცინო პერსონალის მატერიალური წახალისების პროგრამით შესაძლებელი იქნება საექიმო კადრების დეფიციტისა და მაღალი დენადობის შემცირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობისათვის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო გართულებული კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

## 5.6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 1076)

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებებისა და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, დაავადებათა კონტროლს და პრევენციას;

